პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

დ. ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ფარცხმის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ შუა ფარცხმაში მდებარე მე-12 ქუჩისთვის გრიგოლ მეგრელიშვილის

სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების თანახმად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ფარცხმის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ შუა ფარცხმაში მდებარე მე-12 ქუჩას მიენიჭოს გრიგოლ მეგრელიშვილის სახელი, თანდართული ორთოფოტოს შესაბამისად. (დანართი თან ერთვის)

მუხლი 2.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 4 .

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი - მარინე ბერაძე